სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
თელავის მუნიციპალიტეტში იყალთოს სამონასტრო კომპლექსთან არსებული მეწყრული უბნისათვის მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. თბილისი „ 22 „ ივნისი 2018 წ.

სხდომას ესწრებოდა:

ჯუანშერ ბურჭულაძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

ილია ღუდუშაური - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.

პაატა იაკობაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის უფროსი.

ნიკოლოზ დოლიძე - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის იურიდიული სამსახურის უფროსი.

გრიგოლ ფერაძე - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შიდა მონიტორინგის სამსახურის უფროსი.

ირაკლი ფარესიშვილი - სატენდერო კომისიის მდივანი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების სამსახურის უფროსი.

გიორგი ბულეიშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდა:

დავით ტაბიძე - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.

ნუცა დათუაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დონორებთან ურთიერთობისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი.

ლევან სუხიტაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

ზურაბ კოტორაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი.

გიორგი ბარიშვილი -სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური მართვისა და ინვესტირების სამსახურის სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტში იყალთოს სამონასტრო კომპლექსთან არსებული მეწყრული უბნისათვის მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საშუალების განხილვა.
2. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

საკითხი I

მოისმინეს:

კომისიის აპარატის წევრის გიორგი ბულეიშვილის ინფორმაცია სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის მიერ მომზადდა თელავის მუნიციპალიტეტში იყალთოს სამონასტრო კომპლექსთან არსებული მეწყრული უბნისათვის მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ტექნიკური დავალება. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით ჩატარებული ბაზრის კვლევის საფუძველზე ინფორმაცია მოწოდებული იქნა ერთი პირის - ს/ს „საქწყალპროექტი“-ს

გიორგი ბულეიშვილმა კომისიას განსახილველად გადასცა წარმოდგენილი ინფორმაცია.
განიხილეს: ს/ს „საქწყალპოროექტი“-ს შემოთავაზება სავარაუდო ღირებულების შესახებ, განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების სავარაუდო ღირებულება კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერტო მომსახურებისთვის გათვალისწინებული ღირებულების გარეშე შეადგენს 46 000 (ორმოცდექვსი ათასი) ლარს.

მოისმინეს: კომისიის წევრის პაატა იაკობაშვილის ინფორმაცია ტექნიკური დვალების თანახმად საბოლოო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება უნდა განხორციელდეს პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტის მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე. შესაბამისად საექსპერტო მომსახურების ხარჯი გაწეული უნდა იყოს საპროექტო ორგანიზაციის მიერ. პროექტების შეფასების სამსახურის მიერ გასატარებელი ღონისძიებების მოცულობიდან გამომდინარე ჩართული სპეციალისტების ხელფასებისა და სხვა ხარჯების, მათ შორის საექსპერტო მომსახურების ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც სავარაუდოდ შეადგენს 10 000 (ათი ათასი) ლარს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარით.

კომისიის წევრემა მსჯელობის საფუძველზე აღნიშნეს:
1. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბაზრის კვლევაში ჩართული პირებიდან შემოთავაზება არის მხოლოდ ერთი პირის მიერ, რომლის მიერ შემოთავაზებული ფასი შეადგენს 46 000 (ორმოცდაექვსი ათასი) ლარს საპროექტო მომსახურების ღირებულების გარეშე მიზანშეწონილია თელავის მუნიციპალიტეტში იყალთოს სამონასტრო კომპლექსთან არსებული მეწყრული უბნისათვის მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ტენდერის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 56 000 (ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარით (46000+10000=56000).
2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების გათვალისწინებით მიზანშეწონილია შესყიდვის პროცედურა ჩატარდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადებით და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადგენად განისაზღვროს არანაკლებ 10 დღე.

დაადგინეს:
1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 56 000 (ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კასპის საფეხბურთო სტადიონის და სპორტ-სკოლის შენობის რეაბილიტაციისთვის საჭირო დეტალური საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული SPA აბრევიატურით.

საკითხი II

მოისმინეს:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრის გიორგი ბულეიშვილის ინფორმაცია - ელექტრონული ტენდერის პირობების, კერძოდ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის შესახებ. გიორგი ბულეიშვილმა სატენდერო კომისიას წარუდგინა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

განიხილეს:

სატენდერო პირობების პროექტი, სატენდერო კომისიის წევრებმა ერთხმად მისაღებად ჩათვალეს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობები და ძირითადი და მნიშვნელოვანი სატენდერო პირობების დასაბუთების მიზნით აღნიშნეს:

1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 24[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადგენად განსაზღვრულია არანაკლებ 10 კალენდარული დღე.

2. შესყიდვის ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით მიზანშეწონილია ელექტრონული ტენდერი უნდა გამოცხადდეს CPV 71300000 დანაყოფის ფარგლებში, კერძოდ CPV 71320000 კლასიფიკატორის კოდით.

3. შესყიდვის ობიექტის დაფინანსება განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში.

4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება დაანგარიშებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით, შესაბამისად წინადადების წარმოდგენა უნდა განხორციელდეს აღნიშნული გადასახადის (დ.ღ.გ.) ჩათვლით, ხოლო წინადადების ფასის კლების ბიჯის ოდენობა განსაზღვრულია 560 (ხუთასსამოცი) ლარის ოდენობით.

5. შესყიდვის ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით სატენდერო დოკუმენტაციით არ მოითხოვება ინფორმაცია საგარანტიო ვადების, შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებლის, მოდელის, პრეტენდენტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის, პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ. მომსახურების მიწოდების პირობები და ვადები განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის 1.4. პუნქტის თანახმად, შესაბამისად არ მოითხოვება ინფორმაცია მომსახურების გაწევის გეგმა- გრაფიკის შესახებ. გამოცდილების შეფასების თავლსაზრისით სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია უშუალოდ პრეტენდენტის გამოცდილება, შესაბამისად ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ და ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ არ მოითხოვება. ასევე, არ მოითხოვება ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან და სტანდარტებთან დაკავშირებით. არ მოითხოვება სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა. სატენდერო დოკუმენტაციით არ მოითხოვება ფასწარმოქმნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება, დასაბუთება მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის 4.1.3. პუნქტში. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარე არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულება.

6. დეტალური მსჯელობის საფუძველზე არის განსაზღვრული სატენდერო დოკუმენტაციის ყველა პირობა, მათ შორის სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისიწინებული დასაბუთებები, ტექნიკური დავალება და ტექნიკური დავალებით განსაზღვრული პირობები, მომსახურების ცალკეული ეტაპების მიწოდების ვადები და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმა და ადგილი, ხელშეკრულების პროექტი, ანგარიშსწორების პირობები და ვადები. სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტით არის განსაზღვრული მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ. გამოცდილების შეფასების თვალსაზრისით შესაძლებელია მოთხოვნა განისაზღვროს, როგორც უშუალოდ პრეტენდენტის ან პრეტენდეტთან დასაქმებული სპეციალისტების ან ერთობლივად პრეტენდენტისა და სპეციალისტების მიმართ. კომისია მიიჩნევს, რომ წინადადების შეფასების დროს მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც საიმედოობის თვალსაზრისით სავალდებულოდ დამოწმებული უნდა იყოს მესამე მხარის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე მხოლოდ პრეტენდენტთან დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის შეფასება აზრს მოკლებულია, კერძოდ პერსონალის გამოცდილების განმსაზღვრელ დოკუმენტად შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს ავტობიოგრაფიული მონაცემები, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან სარეკომენდაციო წერილი. ავტობიოგრაფიული მონაცემების (CV) დადასტურება მესამე მხარის მიერ დიდ სირთულესთან, ასევე დოკუმენტაციების წარმოდგენისა და შესაბამისობის შეფასების თვალსაზრისით დროში გაჭიანურებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს ის ვერ განიხილება ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური მომსახურების მიწოდების გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტად, ხოლო სარეკომენდაციო წერილის გაცემა შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ იმ პრეტენდენტის მიერ, რომლის მიერაც იქნება წარმოდგენილი სატენდერო წინადადება. ასევე აღსანიშნავია, რომ პროექტის წარმატებით დასრულება საჭიროებს სწორ დაგეგმვას და ორგანიზაციულ მართვას, რაც მოითხოვს ტექნიკური დარგის სპეციალისტების გარდა სხვა დარგის სპეციალისტების ჩართვას. ტექნიკურ დარგის სპეციალისტს შესაძლებელია არ გააჩნდეს ორგანიზაციული

მართვის შესაბამისი უნარი, ამ კუთხით არ ქონდეს სათანადო გამოცდილება და კვალიფიკაცია. ასევე არსებობს საკმაოდ დიდი ალბათობა მომსახურების მიწოდებისას ჩართული იყოს სხვა სპეციალისტი, ან ობიექტური მიზეზის გათვალისწინებით წარმოიშვას შერჩეული სპეციალისტის ახალი სპეციალისტის ჩანაცვლების აუცილებლობა, აღნიშნულიდან გამომდინარე მოსალოდნელია შეუძლებელი გახდეს იგივე კვალიფიკაციის სპეციალისტი შერჩევა, რაც შეაფერხებს პროექტის სრულფასოვნად და ხარისხიანად დასრულებას. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით სატენდერო კომისია მიიჩნევს, რომ გამოცდილების დადასტურება უნდა განხორციელდეს უშუალოდ პრეტენდენტის მიერ, ანალოგიური სახის მომსახურების მიწოდების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებისა და დამკვეთის მიერ დადასტურებული მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გზით. რაც შეეხება მომსახურების გაწევისას აუცილებელ სპეციალისტებს აღნიშნული გათალისწინებულია ტექნიკური დავალებით.

7. გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის პირობები გათვალისწინებულია სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1. პუნქტის თანახმად. პირობები განსაზღვრული არის შესყიდვის ობიექტის შინაარსის, გასატარებელი ღონისძიებების მოცულობის გათვალისწინებით. კერძოდ, პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს: არაუმეტეს 1 (ერთი) ხელშეკრულების ფარგლებში არანაკლებ 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ღირებულების მეწყერსაწინააღმდეგო ნაგებობების მშენებლობის ან რეკონსტრუქციის ან მოდერნიზაციის ან რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიწოდების გამოცდილების დადასტურება, ხოლო მომსახურება მიწოდებული უნდა იყოს 2012 წლიდან.

8. სატენდერო დოკუმენტაციის 2.9. პუნქტით დამატებით არის განსაზღვრული ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, სატენდერო წინადადების ფასის დაანგარიშების მეთოდი და დოკუმენტების წარმოდგენის ფორმატი, ასევე სატენდერო დოკუმენტაციის 10.1. პუნქტით განსაზღვრულია სატენდერო პირობების განმარტების მოთხოვნის პროცედურა.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის პირობები (ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი (თან ერთვის).
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის ატვირთვა და ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობების (ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია) რეგისტრაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარის მ/შ /ჯუანშერ ბურჭულაძე/

კომისიის წევრი / ილია ღუდუშაური /

კომისიის წევრი / დავით ტაბიძე/

კომისიის წევრი / ნუცა დათუაშვილი/

კომისიის წევრი / ნიკოლოზ დოლიძე /

კომისიის წევრი / პაატა იაკობაშვილი /

კომისიის წევრი / ლევან სუხიტაშვილი /

კომისიის წევრი / ზურაბ კოტორაშვილი /

კომისიის წევრი / გრიგოლ ფერაძე /

კომისიის წევრი / გიორგი ბარიშვილი /

კომისიის მდივანი / ირაკლი ფარესიშვილი /

კომისიის აპარატის წევრი / გიორგი ბულეიშვილი/

პატივისცემით,
ნინო

---------- Forwarded message ----------
From: **Vladimer Chkhetia** <gwp@inbox.ru>
Date: 2018-06-05 11:43 GMT+04:00
Subject: Re: ბაზრის კვლევა
To: Nino Dvali <ndvali@mdf.org.ge>

მოგესალმებით.
ს.ს. საქწყალპროექტი თანახმაა მიიღოს მონაწილეობა თელავის მუნიციპალიტეტში იყალთოს სამონასტრო კომპლექსთან არსებული
მეწყრული უბნისათვის მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასა და შესყიდვის ტენდერში 46000 (ორმოცდაექვსი ათას) ლარად. ჩვენი შემოთავაზება ექსპერტიზის თანხის გარეშეა.

> Понедельник, 4 июня 2018, 16:33 +04:00 от Nino Dvali <ndvali@mdf.org.ge>:
>
> მოგესალმებით,
>
> გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ელექტრონული ტენდერის საშუალებით გეგმავს თელავის მუნიციპალიტეტში იყალთოს სამონასტრო კომპლექსთან არსებული მეწყრული უბნისათვის მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების დასახვა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და შესყიდვას. ტენდერის პროცედურების ჩატარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია განისაზღვროს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე გიგზავნით ტექნიკურ დავალებას
>
> გთხოვთ, ტექნიკური დავალების გათვალისწინებით 2018 წლის 6 ივნისის ჩათვლით მოგვაწოდოთ ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან დაკავშირებით.
>
> ინფორმაცია შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: ndvali@mdf.org.ge
>
> (იხილეთ დანართი N1)
>
> წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.